კვარტალური მაკროეკონომიკური მიმოხილვა*

კვარტალის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 29.8%-ით გაიზარდა.
- წლიური ინფლაცია 8.3%-ს გაუტოლდა.
- ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ წინა კვარტალთან შედარებით 0.4%-ით გაუფასურდა, ხოლო 2020 წლის I კვარტალთან შედარებით კი - 5.7%-ით.
- ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითმა მთლიანმა სალდომ 1,101.7 მლნ ლარი შეადგინა.
- დოლარიზაციის მაჩვენებელი შემცირდა როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა კვარტლის ცვლადს

1. რეალური სექტორი

2021 წლის II კვარტალში, სტატისტიკის სამსახურის წინასწარი შეფასებით, მშპ-ის საშუალო რეალურმა ზრდამ 29.8% შეადგინა.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021 წლის II კვარტალში მშპ-ს პოტენციური დონე ჩამორჩებოდა სტატისტიკის მიერ შეფასებულ მონაცემს და შესაბამისად მშპ-ის გაპი 3.4%-ს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ წინა კვარტალში მშპ-ის გაპი უარყოფითი -3.0% იყო.



2021 წლის I კვარტალში, საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მშპ-ს კლებაში მნიშვნელოვანი წვლილი ექსპორტის შემცირებას ჰქონდა.

მშპ-ის კომპონენტების ანალიზის მიხედვით, 2021 წლის I კვარტალში რეალური მშპ-ის კლების ტემპი ექსპორტის (-7.0%) და ინვესტიციების (-3.3%) კომპონენტებით იქნა განპირობებული. აღნიშნულ პერიოდში დადებითი გავლენა მშპ-ზე იმპორტს (5.1%) და მოხმარებას ჰქონდა (0.7%).



თვიურ მონაცემებზე დაკვირვებით ვლინდება, რომ ეკონომიკური ზრდის ტრენდი წრფივი არ არის.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, წინასწარი მონაცემებით, 2021 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მშპ-ის ტრენდის[1] ზრდის ტემპმა 13.2% შეადგინა. 2020 წლის II კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი -5.8%-ს შეადგენდა.



2021 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია ზრდის ტენდენციას ავლენს.

2021 წლის II კვარტალში წლიური ინფლაციის საშუალო მაჩვენებელმა 8.3% შეადგინა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე მეტი. 2021 წლის II კვარტალში ინფლაციის დონის ფორმირებაზე გავლენა იქონია ძირითადად სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ტრანსპორტზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, საცოხოვრებელზე, წყალზე, ელ.ენერგიაზე, აირზე, აგრეთვე სხვა სასაქონლო ჯგუფებზე ფასების დინამიკამ.



[1] ტრენდი წარმოადგენს ყოველთვიური ეკონომიკური ზრდის შეფასებას სეზონურობის და შემთხვევითი რყევების გამორიცხვით

2. ფისკალური სექტორი

2021 წლის II კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2021 წლის II კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 22.7%-ით გაიზარდა და 3,492 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების შეძენამ 30%-ით მოიმატა და 4,735 მლნ ლარს გაუტოლდა. 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საოპერაციო სალდოს მაჩვენებელი 150.1 მლნ ლარით შემცირდა, ხოლო მთლიანი სალდოს მონაცემი კი - 341.9 მლნ ლარით.



2021 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 24.8%-ით გაიზარდა და 3,051 მლნ ლარით განისაზღვრა.

2021 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის პირდაპირი გადასახადები 7.3%-ით შემცირდა და 1,101 მლნ ლარი შეადგინა, არაპირდაპირმა გადასახადებმა კი 55.1%-ით მოიმატა და 1,951 მლნ ლარს გაუტოლდა.



2021 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მიმდინარე ხარჯები ზრდის ტენდენციას ავლენს. ასევე გაზრდილია არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები.

2021 წლის II კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები 3,766 მლნ ლარს შეადგენს, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 26.9%-ით მეტია. არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი 969 მლნ ლარს უტოლდება, რაც წინა წლის შესაბამის მონაცემზე 45.2%-ით მეტია.



2021 წლის II კვარტალის ბოლოს - 30 ივნისის მდგომარეობით სახელმწიფო ვალის ნაშთმა ნომინალურ გამოსახულებაში 31,124 მლნ ლარი შეადგინა, რაც 29%-ით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

სახელმწიფო ვალის მოცულობაში საგარეო ვალის წილი 81.4%-ს შეადგენს (2020 წლის II კვარტალის ბოლოს - 77.8%), ხოლო საშინაო ვალის წილი - 18.6%-ს (2020 წლის II კვარტალის ბოლოს - 22.2%).



3. საგარეო სექტორი

2021 წლის I კვარტალში საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო დაფიქსირდა.

2021 წლის I კვარტალში, მიმდინარე ანგარიშის უარყოფითმა სალდომ 365.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 13.8%-ით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. მშპ-თან მისი თანაფარდობის მაჩვენებელი -10.7%-ით განისაზღვრა. მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების მიხედვით, საქონლითა და მომსახურებით სავაჭრო ბალანსსა და წმინდა შემოსავლების დეფიციტს მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს მიმდინარე ტრანსფერტების დადებითი სალდო. აღსანიშნავია რომ მოგზაურთა მომსახურება, არსებული პრობლემების გათვალისწინებით, 2021 წლის I კვარტალში 87.5%-ით შემცირდა.



2021 წლის I კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს სხვა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენდა.

ამ პერიოდში წმინდა პირდაპირმა ინვესტიციებმა 42.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ის მიმართ 1.2%), რაც 68.8%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.



2021 წლის II კვარტალში მთლიანმა საერთაშორისო რეზერვებმა 3,918 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2021 წლის II კვარტალის ბოლოსათვის საერთაშორისო რეზერვების ოდენობა 3,918 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8.4%-ით მეტია. 2020 წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე ვალუტის მკვეთრი გაუფასურების საპასუხოდ 873 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. 2021 წლის იანვარ-აპრილში კი სებ-მა 243 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.



2021 წლის II კვარტალში საქონლით საგარეო ვაჭრობაში ექსპორტის და იმპორტის ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა.

2021 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტი 47.1%-ით, ხოლო იმპორტი 44.8%-ით გაიზარდა. საყურადღებოა, რომ 2020 წელს ექსპორტის და იმოორტის მნიშვნელოვანი კლების შემდეგ, 2021 წლის II კვარტალში როგორც ექსპორტის ასევე იმპორტის მაღალი ზრდა დაფიქსირდა. საანალიზო პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 31.0%-დან უმნიშვნელოდ 31.3%-მდე გაიზარდა.



4. მონეტარული სექტორი

2021 წლის II კვარტალში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთმა 9.5% შეადგინა.

2020 წლის დასაწყისში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 9.0%-ს შეადგენდა, II კვარტლიდან კი ეტაპობრივი შემცირება დაიწყო და 2020 წლის ბოლოს 8.0%-ით განისაზღვრა. 8.0% შენარჩუნდა 2021 წლის იანვარ-თებერვალშიც, მარტიდან კი ინფლაციური ზეწოლის შერბილების მიზნით, მიზანშეწონილი გახდა მონეტარული პოლიტიკის თანდათანობით გამკაცრება და განაკვეთი 8.5%-მდე გაიზრდა. აპრილში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით განაკვეთი 9.5%-მდე გაიზარდა და აღნიშულ დონეზე შენარჩუნდა 2021 წლის II კვარტლის განმავლობაში.



2021 წლის II კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე 11.9%-ს შეადგენს.

2021 წლის II კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე, წინა კვარტალთან შედარებით, 0.3%-ული პუნქტით შემცირდა და 11.9%-ით განისაზღვრა. ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 15.6% შეადგინა (0.2%-ული პუნქტით მეტი), ხოლო უცხოურ ვალუტაში სესხებზე - 6.5% (0.1%-ული პუნქტით ნაკლები).



2021 წლის II კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ლარის კურსი ყველა ძირითად ვალუტასთან მიმართებით გაუფასურდა გარდა თურქული ლირისა.

2021 წლის II კვარტალში ლარის კურსი (პერიოდის საშუალო) აშშ დოლარის მიმართ, წინა კვარტალთან შედარებით 0.4%-ით გაუფასურდა, ხოლო 2020 წლის II კვარტალთან მიმართებით - 5.7%-ით. 2020 წლის II კვარტალთან შედარებით, ლარი ასევე გაუფასურდა ევროსთან (13.8%-ით), აზერბაიჯანულ მანათთან (5.7%-ით), უკრაინულ გრივნასთან (3.3%-ით) და რუსულ რუბლთან (3.4%-ით), ხოლო გამყარდა თურქულ ლირასთან (14.9%) და სომხურ დრამთან (1.3%-ით) მიმართებით.



2021 წლის II კვარტალში, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები (ნაშთები) გაიზარდა.

2021 წლის II კვარტალში, 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 16.4%-ით მოიმატა, წინა კვარტალთან შედარებით კი - 0.4%-ით. მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი შინამეურნეობებზე გაიცა.



2021 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი შემცირდა როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე.

2020 წლის I კვარტალში ორივე მაჩვენებლის მაღალი ზრდა დაფიქსირდა და შესაბამისად 64.8% და 58.6% შეადგინა დეპოზიტების და სეხების დოლარიზაციამ. 2020 წლის ბოლოსთვის კი დოლარიზაცია შემცირდა ორივე მაჩვენებლზე, თუმცა 2021 წლის I კვარტალში კვლავ მაღალი დეპოზიტების დოლარიზაცია დაფიქსირდა 64.6%. 2021 წლის II კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე 3.6%-ული პუნქტით შემცირდა და 60.9% შეადგინა, ხოლო სესხებზე 2.7%-ული პუნქტით შემცირდა და 52.6% შეადგინა.



5. სოციალური სფერო

2021 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, საარსებო მინიმუმი გაიზარდა.

2021 წლის II კვარტალის ბოლოს - ივნისი - საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა 190.0 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 24.7 ლარით მეტია.



2021 წლის II კვარტალში, წინა წლის II კვარტალთან მიმართებით, ჯანდაცვაზე და განათლებაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები გაიზარდა.

2021 წლის II კვარტალში განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 480 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 33.2%-ით მეტია (სულ შესრულებულია კვარტალური გეგმის 99.96%). ჯანდაცვაზე დანახარჯებმა 584.5 მლნ ლარი შეადგინა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 35.6%-ით მეტი (სულ შესრულებულია კვარტალური გეგმის 91.9%).



2021 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბიზნესს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირების, ხოლო ხელფასები ზრდის ტენდენციას ავლენს.

2021 წლის I კვარტალში ბიზნესს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 622.7 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 9.0%-ით ნაკლებია. 2021 წლის I კვარტალში საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 1,283.5 ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 56.5 ლარით მეტი.